1889 წელსა, № 21 15 ნოემბერს

მწყემსი

1883-1889

«მწყემსი» გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

წმიდა მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის «ძმობის» გამგეობიგან.

წმ. მოციქულის ანდრია პირველ-წოდებულის «ძმობის» გამგეობითი კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს ყველა თავის წევრთა,—დაუჩქარონ საწევრო ფულების შემოტანას, რადგანაც, ერთის მხრით, ძლიერ იკლო ძმობის შეძლებამ და მეორეს მხრით იმატა სემინარიის ღარიბი შაგირდების რიცხვმა და მათმა საჭიროებამა. ამასთანავე გამგეობითი კომიტეტი უმორჩილესად სთხოვს თავიანთ წევრთა გააცნონ სხვა პირთაც «ძმობის» მიზანი და დანიშნულება, რათა იმატოს «ძმობის» წევრთა რიცხვმა. «ძმობის» საზოგადო კრება დანიშნულია 30 ნოემბერს, წირვის შემდეგ სემინარიის სადარბაზო ზალაში.

რექტორი სემინარიისა, არქ. ნიკოლოზი.

რედაქციისაგან.

ღვთის შეწევნით ჩვენ აი უკვე გადავედექით ჩვენი გამოცემის «მწყემსი»-ს დაარსებიდამ მერვე წელში და რუსული გამოცემის «Пастырь»-ის მეექვსე წელში. საზოგადოების თანაგრძნობისა და მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობის, საქართველოს ექსარხოსის პალლადის ზნეობრივი დახმარების წყალობით ჩვენ გამოცემებთან ერთად, ამ წელში გამოვეცით 46000 ცალი წიგნაკი რელიგიურ-ზნეობრივი შინაარსისა სახალხო საკითხავად. პროგრამმა და მიმართულება ჩვენი გაზეთის მომავალს წელშიაც იგივე დარჩება—და ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ როგორც საზოგადოება, აგრეთვე მისი მაღალ ყოვლად უსამღვდელოესობა საქართველოს ექსარხოსი პალლადი და ადგილობითი მღვდელ-მთავარნი არც მომავალ წელში მოგვაკლებენ ჩვენ თავიანთ თანაგრძნობასა და ზნეობრივ დახმარებას; ხოლო ჩვენ ყოველ ღონისძიებას ვიხმართ ჯეროვანად დავაკმაყოფილოთ ჩვენი მკითხველების მოთხოვნილება. ამასთანავე, ვისაც განათლება და მომზადება ნებას აძლევს დაგვეხმაროთ თავის კალმით, ყველასა ვსთხოვთ აღმოგვიჩინონ შემწეობა ამ მხრით ამ კეთილ საქმეში და თან ამ ნაირად ჩვენ მკითხველებსაც გაუზიაროთ თავისი აზრები და დაკვირვებანი ცხოვრებაში. ესეთი პირნი კი, ღვთის მადლით, მრავალი არიან ჩვენ საქართველოში, თუმცა უნდა ვსთქვათ, სამწუხაროდ, რომ ამ პირთ ჯერ არ გაუცვნიათ საზოგადოებისათვის თავისი ნიჭი; ჯერ არსად არა დაუწერიათ რა არათუ ჩვენს გაზეთში, არამედ არც სხვა რომელიმე გამოცემებში.

სასიამოვნო ამბები თბილისის სემინარიის ცხოვრებიდამ.

31 ოკტომბერს დილის 8 საათზე სემინარიის ეკკლესიაში შეიკრიბნენ ყველა მოსწავლენი და მასწავლებელნი დილის ლოცვაზე. ლოცვის აღსრულებაში მიიღო მონაწილეობა თვით რექტორმა.

ეს დღე მით იყო შესაიშნავი რომ, ამ დღეს სემინარიის შაგირდებს დაენიშნათ საკუთარი მოძღვარი. როდესაც გაათავეს ყველა დაწესებული ლოცვები, რომლებიც ზოგი რუსულად წაიკითხეს და იგალობეს და ზოგი ქართულად,—მ. რექტორმა წაიკითხა სახარებიდამ კეთილ «მწყემსზედ». სახარების წაკითხვის შემდეგ მ. რექტორმა წარმოსთქვა მშვენიერი სიტყვა, რომელშიაც განმარტა მაღალი ზნეობრივი აღმზრდელობითი მნიშვნელობა «მოძღვრობისა» და ის სულიერი ურთიერთ შორის მტკიცე ზნეობრივი და სულიერი კავშირი, რომელიც უნდა სუფევდეს მოძღვარსა და მოწაფეთა შორის. სიტყვის შემდეგ რექტორმა ახალს მოძღვარს მისცა ჯვარი, რომლითაც ამ უკანასკნელმა აკურთხა თავისი ახალი სამწყსო—შაგირდები. რექტორის სიტყვამ მოწაფეებზე მოახთინა ღრმა შთაბეჭდილება.—ამ მშვენიერს სიტყვას ჩვენ დავბეჭდავთ ქართულს ენაზე შემდეგ ნომერში.

ჩვენ სრულიად თანხმა ვართ და გულითა და სულითა თანაუგრძნობთ ყველა იმ მშვენიერ აზრებს, რომელიც წარმოსთქვა მ. რექტორმა თავის სიტყვაში საკუთარ მოძღვრის მნიშვნელობაზე სემინარიის შაგირდებისათვის. ჭეშმარიტად სასიხარულო ფაქტად უნდა ჩაწეროს ეს ახალი მოძღვრის დანიშვნა სემინარიელებისთვის სემინარიის ცხოვრების მატიანეში.—

აქვე უადგილოთ არ მიგვაჩნია უამბოთ მკითხველებს კიდევ სხვა სასიხარულო ამბებიც სემინარიის ცხოვრებიდამ.

ვინ არ იცის, რომ სემინარიაში წინედ შაგირდებიდამ მრავალი უკმაყოფილება და საყვედურები ისმოდა: ცუდ საჭმელ სასმელს გვაძლევენო, დამპალი და გაფუჭებული ხორაგი მოაქვსთ ჩვენ კომისარს და ეკონომსაო. ამ ბოლოს კიდე იყვედრებოდენ სემინარიელები, რომ საღარიბო ფულებს ხშირად შეძლებული დედ-მამის შვილებს ურიგებენ და ნამდვილი ღარიბები უშემწეოდ რჩებიანო. წინანდელმა რექტორებმა ვერას გზით ვერ მოუნახეს წამალი ამ უკმაყოფილების მოსასპობად სემინარიაში. ეხლა ახალმა რექტორმა პირველსავე თვალის გადავლებაზე ბოლო მოუღო ამ საყვედურებს და დაამშვიდა შაგირდები. საქმე აი რაშია: ახალი რექტორის განკარგულებით ყოველი სანოვაგე, რასაც კი მოიტანებენ სემინარიაში მოიჯარადრები, რიგ-რიგობით უნდა თავის თვალით შეამოწმონ თვითონ შაგირდებმა. საზოგადოთ რექტორი სრულიად ნებას აძლევს შაგირდებს, თვითონ აირჩიონ საჭმელ სასმელი, მხოლოდ უნდა ახსოვდეთ, რომ ესეთი მათი მოთხოვნილებანი არ აღემატოს იმ მცირე ჯამს, რომელიც მათ შესანახავად არის დანიშნული.—

ღარიბი შაგირდების ამორჩევაც მ. რექტორმა თვით სემინარიელებს მიანდო, რომელთაც, რასაკვირველია, სხვაზე უკეთ იციან თავიანთი ამხანაგების მდგომარეობა და, მართლაც, ამღარიბ შაგირდთა სიადიდის სინამდვილით შეადგინეს ყველა მოწაფეებმა. მამა რექტორის მამობრივს მზრუნველობას შაგირდების მდგომარეობის გაუმჯობესობაზე უნდა მიეწეროს, რომ დღეს ზოგიერთი ღარიბი შეგირდები თვით სემინარიაში არიან თავშეფარებულნი. ამათ მ. რექტორმა სემინარიის შენობაშივე აღმოუჩინა ერთი დიდი თავისუფალი ოთახი, რომელსაც ათბობენ და ანათებენ სემინარიისვე ხარჯით, შაგირდებს რჩევა საჭმელ-სასმელზე ზრუნვა—და ეს გარემოება ერთი ორად უმსუბუქებს მათ ხარჯს. ერთი სიტყვით მ. რექტორი ყოველ ღონის ძიებას ხმარობს, რომ სემინარიის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად აღმოაჩინოს სხვადასხვა წყაროები და ამ წყაროების აღმოჩენაშიაც მამა რექტორი, როგორც ყველა სხვა თავის განკარგულებებში, იჩენს დიდს გამჭრიახობას და გამოცდილებას. არავინ არ ელოდა, თუ სემინარიის გაუქმებული ჭიშკრიდამ შემოსავალი ცარიელი ადგილი სარგებლობას მოუტანდა სემინარიას,—დღეს კი ეს ადგილი მ. რექტორის განკარგულებით გვარიან ფულს იძლევა; შემდეგში მ. რექტორი ამ შამოსავლის გასადიდებლად ამ ადგილის სამაღაზიოდ მოწყობას აპირებს. ღმერთმა ხელი მოუმართოს მამა რექტორს ასე მშვენიერად დაწყებული საქმის საბოლოოდ დაგვირგვინებაში!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახალი ეპისკოპოსი ვლადიკავკაზისა ყოვლად სამღვდელო პეტრე.

ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ შემდეგ ვლადიკავკაზის ეპისკოპოსის Іოსების კათედრიდამ გადადგომისა დანიშნულ იქმნა ამავე კათედრაზე ყოვლად სამღვდელო პეტრე ყოფილი ხარკოვის ეპარქიაში პირველ ვიკარად. წინანდელი სამსახური ყოვლად სამღვდელო პეტრესი ჭეშმარიტად გვაძლევს იმედს, რომ იგი თავის ახალი ეპარქიისათვის და სამღვდელოებისათვის დიდი ნუგეში და იმედი იქნება. ეს ყოვლად პატიოსანი მღვდელ-მთავარი ეკუთვნის თავისი პიროვანი ხასიათით იმ იშვიათი გვამთა დასს, რომელნიც პირველსავე გაცნობისთანავე იზიდავენ, იპყრობენ კაცის სულსა და გულს; ჰბადვენ მასში ღრმა პატივისცემას და მამაშვილურს ნდობასა და სიყვარულს.

შემოსვლისა თანავე თავის სამწყსოში, ყოვლად სამღვდელო პეტრე მიიქცა სამწყსოსადმი პირველი სიტყვით, რომელშიაც განმარტა თუ რას ნიშნავს მშვიდობა,—ეს თვით ქრისტესგან ნაჩვენები მისალმება მოყვასთადმი. ეს სიტყვა ძლიერ ნიჭიერად არის წარმოთქმული: ყოვლად სამღვდელო ამ სიტყვაში იჩენს ადამიანის სულისა და გულის მდგომარეობის ღრმა ცოდნას, ასე რომ ყოველ კაცს შეუძლია ამ სიტყვაში დაინახოს თავისი საკუთარი აღსარება, პოვოს მასში, როგორც სარკეში თავისივე სულის მდგომარეობა. ჩვენ ამ სიტყვას, როგორც შესანიშნავ მოძღვრებას ვბეჭდავთ ქართულადაც ჩვენს გამოცემაში.—

სიტყვა,

თქმული ვლადიკავკაზის ეპისკოპოსის პეტრეს მიერ 22 სექტემბერს 1889 წ., როდეს იგი აბრძანდა ვლადიკავკაზის კათედრაზე.

მშვიდობა თქვენთანა!

მიღებული ჩვეულებისამებრ საზოგადო ცხოვრებაში, ჩვენ—როდესაც მივესალმებით ვისმეს—ვისურვებთ მისთვის სიმრთელეს, კარგათ ყოფას, წარმატებას საქმეებში, საზოგადოთ ბედნიერებას, რითაც აღვნიშნავთ უმეტესად გარეგან კეთილმდგომარეობას; და ამასთანავე ძლიერ იშვიათად მივაქცევთ ყურადღებას სულიერს მდგომარეობას; აქედამ გამოდის, თითქო კაცი ცოცხლობდეს მხოლოდ ხილული ხორციელი ცხოვრებით, და მარტო ესრედ ცხოვრებაზედ იყოს დამოკიდებული ბედნიერება ანუ უბედურება მისი. გამორიცხვას ამ ჩვეულებრივი მისალმებისაგან ვხედავთ მხოლოდ ზოგიერთ კეთილ-მსახურ პირებში, ანუ კეთილ-გონიერ მშობლებში შესახებ თავიანთ შვილებისა; მხოლოდ აქ რაცხვენ საჭიროდ მიაქციონ ყურიდღება მისასალმებელ პირთა სულიერ მდგომარეობას, შევიდენ მის განკითხვაში და შემდეგ ან გაიხარონ მითი, ან შეევედრონ ღმერთს მის ამაღლებისა და გაუმჯობესებისათვის.

მაგრამ უფალი ჩვენი იესო ქრისტე როგორც თვითონ მიესალმა თავის მოწაფეთა «მშვიდობით», აგრეთვე იმათაც უბრძანა მისალმებოდენ სხვათა მშვიდობის სურვილითა. მშვიდობით აკურხევდა უფალი თავიანთ მოწაფეებს, მასთან გამოთხოვების დროს, როდესაც იგი ემზადებოდა ჯვარცმისათვის, მშვიდობით მიესალმა იგი მათ შემდეგ თვისი აღდგომისა, და როდესაც აგზავნიდა მათ ჯერ კიდე ადრე საქადაგებლად თავისი ღვთაებრივი სწავლისა, იმან მისცა მათ ესეთი დარიგება: **რომელსა ქალაქსა ანუ დაბასა შეხვიდეთ, მოიკითხეთ იგი და სთქვით: მშვიდობა სახლსა ამას.** (მათ. 10, 11-12).

ვინ არ იცის,—ვისაც კი ესმის, რაში მდგომარეობს ჭეშმარიტი ბედნიერება,—რომ მშვიდობა არის უმაღლესი და უსანატრელესი საუნჯე ჩვენთვის; იგი შეადგენს საფუძველს და ამასთანავე შეიცავ

ყველა ნიშნებს, რითაც განისაზღვრება ბედნიერი ცხოვრება. განა შეუძლია კაცს დასტკბეს სიმრთელით, თუ მას აკლია სულიერი მშვიდობა? განა არ შეგვინიშნავს ჩვენ სხვებში და არ გამოგვიცდია თვითონაც, რომ როგორც სიმრთელე, აგრეთვე თვით ცხოვრებაც მძიმე ტვირთად გადაგვექცევა, როცა ძლიერ აწუხებენ და ტანჯავენ ჩვენ სულს აუცილებელი შრომა-ზრუნვა, იმედთა გაცრუება, მწარე დაკლებულებანი, კაცის უსამართლობისაგან შეურაცხებანი, ანუ შეიპყრობს მას განუშორებელი და თავიდამ აუცილებელი რამ ჯავრი? რა კმაყოფილება უნდა მოგვიტანოს ჩვენ პატივმა, დიდებამ და სიმდიდრემ და ყოველი მხრით კეთილგანწყობილმა ცხოვრებამ, როდესაც გული სევდით დამძიმებულია, ჯავრითა და კაეშანით მოცულია და ამის გამო არათუ არ შეუძლია გაიხაროს და ინუგეშოს, არამედ უარს ჰყოფს და ერიდება მათ? ყოველი სიკეთე და მშვენიერება ამა ქვეყნისა სევდითა და მწუხარებით მოცული გულისთვის ნუ თუ იგივე არაა, რაც დამშეული, მადა მიხდილი კუჭისთვის ძვირფასი და გემრიელი საჭმელებია?! თუ გნებავთ წარმოგიდგენთ ისტორიულ მოწმობათა, რომ არავითარი ბრწყინვალე დიდება, არავითარი ქვეყნიური ძლიერება და არავითარი მდიდრული კმაყოფილებანი არ აძლევენ კაცს ბედნიერებას, როდესაც მასში არ სუფევს სულიერი მშვიდობა, რომელზედაც იგი (ბედნიერება) მთლად დამოკიდებულია! მაგრამ ეს მოწმობანი ისე ბევრია, რომ— ამ კითხვის ჯეროვანი განმარტებისთვის—ჩვენთვის საჭიროა გავიხსენოთ ყველა ის ცნობილი ისტორიაში პირნი, რომელთაც თავის დროს დიდებით, ბრწყინვალე სიმდიდრითა და ქვეყნიური დიდი სახელით აღუძრავთ ხან გაკვირვება, ხან დიდი ქება და დიდება, ხან შური და მეტოქეობა. შეუცთომლად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ყველა ისინი—ჩვენ კითხვაზედ, თუ რაში მდგომარეობს ქვეყნიური უპირატესობა,—ერთხმად მოგვიგებენ იმასვე, რაც სთქვა მეფეთა და ყოველ მომაკვდავთა შორის უბედნიერესმა სოლომონ ბრძენმა: «ყოველი ესე ამაოებაა და შემუსვრა სულისა». ვაი! თვით კაცის სიბრძნეს—ამ საუკეთესო და უკეთილშობილეს ადამიანის ბუნების სამკაულსაც კი ვერ შესძლებია გაბედნიერება და ნამშვიდება თავიანთ თაყვანისმცემელთა და მყვარებელთა! პირიქით რა საჩივარიც განაცხადა ამ საგანზე უბრძენეს მეფემ, იგივე გვესმის შემდეგ და ეხლაც ბრავალ მეცნიერთაგან: სიმრავლესა შინა სიბრძნისასა სიმრავლე მწუხარებისა და რომელმან შეიძინა მეცნიერება, შეიძინა ლმობა (ეკკ. 1, 12).

ყოველი ნათქვამის შემდეგ თავისთავად გვებადება ესრეთი კითხვა: შეიძლება ჩვენთვის სულიერი მშვიდობა, თუ მითი არ დამტკბარან, შესახედავად, უპირველესი ბედნიერნი ქვეყანაზედ? იქნება ის ცარიელი ოცნებაა, თუმცა კი სანატრელი? და ეს თუ ასეა,—თუ ის მიუწვდომელია,—ან კი რად უნდა მივესალმოთ მათ?! მაგრამ ყური მიუგდოთ იმ საკვირველი გალობის სიტყვებს, რომელიც იგალობეს ბეთლემის მრავალ-რიცხოვან ზეციურ დასთა: დიდება მაღალთა შინა ღმერთსა ჰ ქვეყანასა ზედა მშვიდობა და კაცთა შორის სათნოება. ეს საკვირველი გალობა განისმა დედამიწაზედ მაშინ, როდესაც მთელი ქვეყანა ყველა რჩეული ბედნიერებითურთ ღრმა ძილში იყო შთავარდნილი როგორც ხორციელი, აგრეთვე სულიერი მისი ბუნებით. ამ გალობას აღტაცებით უსმენდენ მხოლოდ უფრო ფხიზელი სხვებზე—მშვიდი ბეთლემის მწყემსები, რომლებიც კრძალვით სჭვრეტდენ ბუნების მშვენიერებათა და შორს ატარებდენ ცხოვრებას ბოროტსა შინა მდებარე ქვეყნისაგან (იოან. 5—19) და ამიტომაც აღმოჩნდენ უფრო ღირსნი ამ სასიხარულო ამბის მიღებისა, ვიდრე ყველა თავადნი საუკუნისა ამის,—ამპარტავანნი მთავრობითა თვისითა და კაცებრივი სიბრძნითა. ეს მრავალრიცხოვანი ზეციური მხედრობა, მადიდებელი ღვთისა გამოგზავნისთვის მიწაზედ მშვიდობისა, ჰმოწმობდა და უჩვენებდა მას, რომ ამ დროს იშვა ქალწული მარიამისაგან მეფე მშვიდობისა, ანუ როგორც იტყვის მოციქული, მშვიდობა ჩვენი უფალი იესო ქრისტე (ეფ. 11—16). აი ვისში გაიხსნა ცხოველი და უშრეტელი წყარო ნუგეშთა და დაუჭკნობელ მხიარულებათა იმ კაცთათვის, რომელნიც დამძიმებულნი არიან მწუხარებით, შეპყრობილნი არიან შავი ეჭვებითა და სულიერი სევდებით, ამ სოფლიერი ზრუნვითა და ტანჯვით! მხოლოდ ისრაელის ამა ნუგეშში ჩვენ შეგვიძლია ვპოვოთ მტკიცე, ნეტარი მშვიდობა, რომელსაც ვერ შემუსრავს ვერავითარი ბოროტება მიწაზედ და ვერც კი ძალა ჯოჯოხეთისა. ეს ჭეშმარიტება უჩვენა თვით უფალმა იესო ქრისტემ თავის მოწაფეებს და მათთან ერთად ყველა მის მიმდევართა თავის ჯვარცმის წინ ამა სიტყვებით: მშვიდობასს დაგიტოვებ თქვენ, მშვიდობასსა ჩემსა მიგცემ თქვენ, არაგითარ სოფელმან მისცეს, მე მოგცემ თქვენ (იოან. 14, 27). ეს რა მშვიდობაა, რომელიც მოგ-

ეანიჭა უფალმან და გვახარა ანგელოზებმა ბეთლემის მყუდრო მიდამოში ღამით? ეს, სიტყვისაებრ საღმრთო წერილისა: **მშვიდობამან ღმრთისამან, რომელი ჭმატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენით გულნი თქვენნი და გონებანი თქვენნი ქრისტე იესოს მიერ.** (ფილ. 4, 7), ესე იგულისხმების უფრო წმიდა გულით, და არა გონებით, რაც უნდა ღრმად განვითარებული და მაღლად განათლებული უნდა იყოს იგი. ამ მშვიდობის ღირსება და სიტკბოება ვისაც უნდა აღვიაროს, თვითონ უნდა გამოსცადოს იგი თავის გულში. მაგრამ იშვიათია ისეთი კაცი, რომელსაც სრულად მოეპოვოს იგი და დამტკბარიყოს მით. სრული და მუდამ განცდა მშვიდობისა ეკუთვნის მხოლოდ ზეცას. ხოლო ჩვენ მიწის შვილთა წილად გვხვდება იგი მხოლოდ დრო და დრო, თითო ოროლა წამით და საათობით,—ესეც იმიტომ, რომ დავრწმუნდეთ მის ნამდვილად არსებობაში და არ მივეცეთ სასოწარკვეთილებას მის ძებნაში,—არამედ თან-და-თან უფრო ძლიერ ვესწრაფოდეთ მის მოპოვებას და შეძენას. ესრეთი წამნი, ვგონებ, ზოგ ჩვენგანს უნდა გამოეცადოს შემდეგ ბეჯითი ლოცვისა, ზიარებისა და შემდეგ საღმრთო წერილის ყურადღებით კითხვისა, ან შემდეგ რომელიმე ძველ და დიდ ღვაწლთა კაცობრიობის საკეთილოდ სამსახურში, რომელიც დაგვირგვინდა სანატრელის წარმატებით. ო, კურთხეულ არს დრო ესე! მაშინ იხსნიან სულნი ჩვენნი მძიმე ბორკილთა ქვეყნიერის მწუხარებისას, რომელიც ასე განუშორებლად სდევნის ყოველ კაცთა,—ისინი მაშინ აღმაღლდებიან ზეცისადმი და თავისუფლდებიან ყოველის ამ ქვეყნიერის ამაოებისა და შფოთისაგან; ჩვენი გონება დაჰფრინავს თავის აზრებით საუკუნო ჭეშმარიტების, სიმართლის და სიყვარულის სულიერ სამეფოში, და თავის გულით ჩვენ თითქო წინადადევ ვსტკბებით გამოუთქმელის ნეტარებით, რომელიც მომზადებულია უფლისაგან ღვთის მოყვარეთათვის. მაშინ ჩვენ ვსდგევართ ქრისტეანულის სულიერის მდგომარეობის უმაღლეს წერტილზე და მთელის ჩვენი ბუნებით მიზიდული ვართ ღვთისადმი და ვეხვდებით ღვთაებრივის ცხოვრების მონაწილენი (ფსალ. 83, 3). ჩვენ მაშინ ვკრძნობთ ისეთს უზენაესს სიხარულს, როგორიც გამოსცადეს უფალი ჩვენი იესო ქრისტეს უმახლობელესმა მოწაფეებმა მის დიდებულ ფერისცვალების დროს თაბორის მთაზე და, მსგავსად პეტრე-მოციქულისა, მზადა ვართ წარმოვსთქვათ: **კეთილ არს ჩვენდა აქა ყოფა** (ლუკ. X. 33). მაგრამ ეს ნეტარებითი მდგომარეობა მიუწვდომელია ამაო სულთათვის, **რომელიც** სცხოვრებენ მხოლოდ ხორციელის კმაყოფილებითა და ნივთიერის ინტერესებითა; იგი სრულიად გაუგებარია ურწმუნო კაცთათვის, რომელთათვისაც არაოდეს არ არის შესაძლო ჭეშმარიტი სულიერი **სიხარული**, ისინი მსგავსად კაენისა—თავისი ცოდვილი ცხოვრებისა გამო, ყოველგან და ყოველთვის **მოუსვენარნი** არიან,—**ჭირი** და **იწრაება** ამძიმებენ სულთა მათთა (რომ. 2, 9). ამ მადლიანს, მხიარულს სულის მშვიდობას არ შეუძლია მისწვდეს **ქვეყნიური** ანუ **ხორციელი** გონება; ამიტომ რომ იმას არ შეუძლია ამაღლდეს იმ სულიერს წერტილამდე, სადაც კაცის გონებას ეფინება სარწმუნოების სხივები, სადაც კაცს ცხადათ წარმოუდგება მისი უმაღლესი დანიშნულება, და სადაც კაცი ცნობილობს, თუ რა არის სასუფეველი ღვთისა.. საღმრთო სწავლით გაუნათლებელი კაცი ჩვეულებრივ სულიერ სიმშვიდეს და ბედნიერებას ეძებს ქვეყნიერის სიმდიდრის და ძალის შეძენაში, იმას სურს განამტკიცოს თავის საზოგადო მდგომარეობა ამა სოფლის მთავართა შემწეობით და მფარველობით და თვითონ სცდილობს შეიძინოს სხვა-და-სხვა სწავლა მეცნიერება და უფლებანი განსაკუთრებით იმისთვის, რათა იცხოვროს კაცმა თავისუფლათ. ამ ნაირად—ნივთიერი სიმდიდრე, კმაყოფილება და სხვებისაგან დამოუკიდებლობა—კი რა'მი ჰპოებს ქვეყნიური გონება სულიერი მშვიდობის უმთავრეს პირობათა. მაგრამ განა შეიძლება ამა საშვალებით შეძენა ჭეშმარიტი სულიერი მშვიდობისა? არა;—იმაზედ მხოლოდ გარეგანი მშვიდობაა დამოკიდებული, და ისიც ძლიერ იშვიათად.—ძლიერ ხშირია ისეთი შემთხვევები, რომ **რა ეამს** ეტყვიან **მშვიდობა** და **კრძალულება**, **მაშინ მეუსეულად მოიწვიოს მათზედ მომსრეველი** (1 თესალონ. V, 3); საღამოს შვება და მხიარულებაა, ხოლო დილას გოდება და ტირილი. კაცთა ბედნიერება და კეთილდღეობა ამაღლდებიან და დამდაბლდებიან მსგავსად ზღვის ღელვათა, და ჯერ კიდე არ მოეპოება კაცს ისეთი ძალა, სიბრძნე და გამჭრიახობა, რომელთაც შეეძლოთ მათი სამუდამოდ უზრუნველ ყოფა და განმტკიცება. და თუ ეს ასეა, მაშასადამე არც შეიძლება მათზედ მოსვენებით სულის დამყარება. მაგრამ ჯერ ამ საგანზედ უმთავრესი აზრი კიდე არ გვითქვამს. **კაცის ცხოვრება**, სიტყვისაებრ მაცხოვრისა ჩვენისა, არ არის დამოკიდებული **ნამეტნავ ნაუოფთა მისთაგან** (ლუკ. 12, 15) არიან ისეთი სულიერი **სევდა-**

ნი,—და ძლიერ მრავალნიც არიან,—რომელთაგან განთავისუფლება არ შეუძლია თვით უბრწყინვალეს კეთილდღეობას. Ერემლნი ხშირათ სდიან ოქროს პატრონთაც! მწუხარება, სევდა და კაეშანი ხშირად სტანჯვენ მხართეძოზედ წამოწოლითა ფუფუნებით მოსვენებულ ბედნიერთაც, და მათი სევდა, მწუხარება და დარდი კიდე უფრო სულის შემხუთველია და მძიმე, ვიდრე ღარიბ კაცთა, ამიტომ რომ იმათ თავიანთ დარდთა გამჟღვანება უმართებულოდ მიაჩნიათ ქვეყნის თვალში და გულში იმალვენ და იცვენ.

ვინ არ იცის, რომ ნივთიერი ბედნიერებით კმაყოფილება არაა ხანგრძლივი; იმას ხშირად მოჰყვება დაღვრემილება და ზოგჯერ ხანგრძლივი მოწყენილობა და სევდიანობა. მართალია ვინც ათასნაირს საქმეშია გართული, ვინც სხვა-და-სხვა ფერად შექცევაში და სიამოვნებაში ატარებს დროებას მუდამ დღეს, —ჩვენ გარეგანი შეხედულებით ბედნიერნი გვგონია. მაგრამ აი, როდესაც მათ გარეშემო ყოველივე სცხრება, ჩამოვარდება სიჩუმე, როდესაც ისინი ამ დროს თავის ყურადღებას მიაპყრობენ თავისთავს, ფხიზელი გონებით აფასებენ ქვეყნიურ მოვლენათა, თავის მდგომარეობას და ფუქსავატობას, მოიგონებენ სიკეთილს, იმ ანგარიშს, რომელიც უნდა ოდესმე წარუდგინონ მათ შემოქმედს-უმაღლეს მსაჯულს, ღმერთს თავის საქმეებში, და აგრეთვე შესახებ იმ ნიჭიერებათა მოხმარებისა, რომლითაც ისინი დაჯილდოებული არიან მისგან,—მაშინ ისინიც ეძლევიან მწარე ფიქრთა, გულითად მწუხარებას, დარდებს და შეიქნებიან **მშიშარ მონებად სიკვდილისა** (ებრ. 11, 15). და თუ ისინი, სულიერად მოსვენებისათვის, (როგორც სშირად ეხედავთ) ერიდებიან ლაპარაკს ღმერთზედ, საიქიოზედ და ზეციურს განკითხვაზედ,—ამითი ჰკარგვენ უფლებას იწოდებოდენ გონიერ არსებათ, და იმ სულიერ მშვიდობას, რომლის დამყარებაც იმათ სურთ ამ საღმრთო ჭეშმარიტებათა დავიწყებაზედ, უფრო სწორი იქმნება უწოდოთ ძილი, რომლითაც მოისვენებენ პირუტყვნი, როდესაც მაძღარნი არიან და არა აკლიათ-რა. ესეთი კაცები საღმრთო წერილში იწოდებიან შვილებათ ღამისა და ბნელისა, რომელნიც არ ცხოვრებენ, არამედ სძინავთ ცოდვილის ძილით, ანუ მოკლედ რომ ვსთქვათ—ისინი იწოდებიან **სულიერ მკვდრებად**. აი თითოეულ ამათგანს შეგვიძლია მივაწეროთ მოციქულის სიტყვები: **აღსდეგ რომელსა გძინავს, და აღსდეგ მკვდრეთით, და განანათლოს შენ ქრისტემან** (1 თესალ. V, 5 ებრ. V, 14) დიაღ, ხოლოდ ქრისტეში არის ნათელი, და მხოლოდ მისგან გამოდის სინათლე ყოველთა კაცთათვის, ბნელსა შინა მჯდომარეთა. მხოლოდ მასთან შეუძლიათ მათ მოიპოვონ სასუფეველი ღვთისა, **სადაცა არს მშვიდობა და სიხარული სულსა შინა წმიდასა.** მხოლოდ მას შეუძლია განფანტოს შავი ღრუბელი ბნელი აზრებისა და მოუსვენარი ეჭვებისა, რომელნიც მარადის ამძიმებენ სულთა ჩვენთა, როდესაც გვეგადებიან ჩვენ კითხვები ადამიანის ქვეყანაზედ ცხოვრების ბედზედ და დანიშნულებაზედ, ანუ როდესაც ჩვენ მოვინდომებთ ავხადოთ საიდუმლოის ფარდა საიქიოს ცხოვრებას. იგი არს ნათელი **ცხოველი**, რომელიც ასაზრდოებს არა მარტო გონებას, არამედ ამასთანავე გაანათლებს და გააცოცხლებს გულს ტკბილის იმედით და მთელს ჩვენს არსებას ანიჭებს ახალს უკვეთესს სიცოცხლეს. მე ვარ ნათელი, ჭეშმარიტება და ცხოვრება, სთქვა თავის თავზედ მაცხოვარმა. მხოლოდ. მან თავისი სწავლით და ცხოვრებით, რომელიც მან დააამტკიცა მრავალი ნიშნებით და უეჭველის სასწაულებითა, გვიჩვენა ჩვენ,—თუ ვინ ვართ, რისთვის ვართ გაჩენილნი, რა უნდა ექმნათ და რას უნდა ეს-წრაფებოდეთ. მხოლოდ ქრისტეს მიერ—მხოლოდ **შობილისა ძისა თვისისა** მამა ღმერთმა **მოგვანიჭა ჩვენ მშვიდობა** და **მოგვიწოდა** მისდამი, გვიბრძანა ვიწოდებოდეთ ძედ ღვთისად, **ძმათა ქრისტესა** და თანამემკვიდრეთა მისთა საუკუნო ზეციურს **სასუფეველში.** მხოლოდ ქრისტეს მიერ და განსაკუთრებით **მისა მკვდრეთით აღდგომით** მამა ღმერთმა **კვალად გვშვნა ჩვენ**, სასოებად ცხოველად, სამკვიდრებელად უხრწნელად და შეუგინებლად და დაუჭკნობელად დამარხულნი ცათა შინა (1 პეტ. 1, 4).

ვინც გაიგებს და შეიგნებს სახარებას მის უმთავრეს დოღმატებში, ის თავის გონებას მოჰფენს დამამშვიდებელს და შვებით სავსე სინათლეს და არ იარს ბნელსა შინა, რომელიც ჩვეულებრივ ჰბადავს კაცში სევდას და შემაძრწუნებელს და აღმაშფოთებელს აზრთა წარმოდგენათა და მოლოდინთა რალაც საშინელის ბნელით მოსილის მომავალისა! იგი მომავალ ცხოვრებაზედ შეიტყობს გაშორებით მეტს, ვიდრე დიდად სახელ განთქული ბრძენი, რომელიც სჯის ამავე საგანზედ გარეშე საღმრთო წერილისა, ვინაიდგან **გულის სიტყვანი მოკვდავთანი მოშიშ არიან.** და **შესცოდებელ განზრახვანი** და **ძნელად კსცნობთ, რომელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოთა ზედა ვინ მოიკვლია? (სოლ. IX, 14 19). მაშასადამე რა შეგვეძლო ჩვენ გვცოდნოდა ღმერთზედ, რომ მას არ მოენიჭებია სიბრძნე და არ გამოეგზავნა სული წმიდა? მხოლოდ ამა სიბრძნით შეუძლიათ სცხონდენ მცხოვრებნი მიწაზედ, გაასწორონ გზავნი თვისნი და ისწავლონ, თუ რა ნებავს უფალსა.

ნათელი ქრისტესი კაცის ცხოვრების ბედისა და დანიშნულების შესახებ მოუსვენარს კითხვებს დაბოლოებით უხსნის ჩვენს გონებას და მით ჰბადავს; ჩვენს გულში მშვიდობას, მოსვენებას და შვებას. ჩვენ გვაქვს მარადის მისწრაფება ბედნიერებისადმი. დაბალი ბუნების პატრონი კაცები ეძიებენ მას ხორციელს შექცევაში და კმაყოფილებაში. მაგრამ კეთილშობილნი პირნი, რომელთაც აქვსთ უმაღლესი ზნეობრივი გემო, ესწრაფებიან იპოვონ ის სიმართალეში და სინდისის სიმშვიდეში. და მერე რას ეხედავთ? ეს წმიდა მისწრაფებანი, თითქმის ყოველთვის რჩებიან დაუკმაყოფილებელნი. კაცობრიობის საუკეთესო ნაწილი გრძნობს და ხედავს თავის უმაღლესობას მოიპოვოს სანატრელი მშვიდობა თავის გულში და მუდამ სწუხს იგი თავის ზნეობრივი უძლურების გამო, ხან კაცების უსამართლობით ⁄ ხან ბოროტების ძლევა-მოსილობით. ყოველი კაცი, რომელიც კი თავის ცხოვრებას წაყენებს ღვთის-მსაჯულების წინაშე, სცდის ამგვარსავე ზნეობრივ არეულ-დარეულობის გრძნობათა. და ეს მწუხარებითი გრძნობანი თავის ულირსობებზედ ღვთის წინაშე,—თავის ცოდვებზედ,—მეტად მტანჯველი მწუხარებაა—მათთვის, ვინც ესწრაფების ზნეობრივ განვითარებისადმი და შეერთებისადმი ღმერთთან. მათ შეუძლიათ მოიპოვონ შემსუბუქება და მოსვენება მხოლოდ სახარების სწავლაში, რომელიც გვახარებს მშვიდობას და ჰმოწმობს ჩვენდამი მონიჭებას ღვთაებრივ ძალთა, რომელთა მეოხებით ჩვენ შეგვიძლია კეთილმსახურად ვიცხოვროთ და ვსცხონდეთ.

ბარდა ამისა, მართალი და კეთილ-შობილი გულის კაცს არ შეუძლია არ შეწუხდეს და არ დაღონდეს, როდესაც ხედავს, რომ უკეთური კაცები დიდ წარმატებაში არიან, ხოლო ქველ-მოქმედნი და კეთილნი ითმენენ დამდაბლებას, სიღარიბეს და ტანჯვა-თულნი არიან აუტანელი შრომით, და მოკლებული არიან ყოველს თავისი მდგომარეობის გაუმჯობესობის იმედს. ჭეყნიურ სიბრძნეს არაოდეს არ შეეძლო და არც ეხლა შეუძლია საკმაოდ და ჯეროვნად აღხსნას ესეთი ერთი მეორის წინააღმდეგი მოვლენანი ქვეყანაზე. იგი თავის მსჯელობით კიდე უფრო აშმოთებს და აღონებს ადამიანის გონებას, მაგრამ სახარება თავისი სწავლით ჯვარის მაცხოვნებელ ძალაზე, და აგრეთვე ჩვენი ქვეყნიური ცხოვრების მნიშვნელობაზე სრულიად ამშვიდებს ჩვენს გულს და შეარიგებს მას ყოველ ზნეობრივს არეულ-დარეულობასთან ქვეყანაზედ. ჩვენში სიმართლის გრძნობა არ აშფოთდება, თუ წარმოვიდგენთ, რომ, სახარების სწავლისამებრ, მთელი კაცობრიობა ემსგავსება სადაც ერთად პურთან ღვარძლიც თან იზრდება. დადგება მკის დრო,—და უფალი მკისა მოაგროვებს თავის საუნჯეში პურს, ხოლო ღვარძლთა კი, რომელნიც შეიძლება პურზე მაღალი გაიზარდოს და კიდეეც დაჩრდილოს და დახშავს იგი დასწვავს. ჩვენ არ მოგვიცავს მწარე შური არც სიმდიდრისა არც დიდებისა, არც სხვა-და-სხვა უფლებებისა საზოგადოებრივ ცხოვრებაში, როდესაც,—სახარების სწავლისაებრ, დავსდებთ ფასს ყოველ ქვეყნიურს სიკეთეს, და აგრეთვე არ დავივიწყებთ არც იმას, რომ ვისაც ბევრი აქვს მინიჭებული, მისგან ბევრიც მოითხოვება. ქრისტეს სწავლის ნათელის წინაშე სიმდიდრეს და ქვეყნიურ დიდებას, სიღარიბეს და დაჩაგრულ ცხოვრებას ისეთი მაღალი აზრი ეძლევა, რომელიც ხორციელი გონებისათვის სრულიად მიუწვდომელია. მხოლოდ ამ ნათელის გავლენის ქვეშ, ამ მოვლენებზედ სჯის დროს, შეიძლება დაგვებადოს უმაღლესი სულიერი «განზრახვანი», რომელთაც შემოაქვთ ჩვენს გულში ნეტარი ცხოვრება და მშვიდობა (რომაელ. VIII, 6). თუ ღვთისაგან დაჯილდოებული ვართ სიმდიდრით და სხვა საცხოვრებელი საუნჯითა, მაშინ ამ ნათელის გამოისობით ამათ ჩვენთვის ექნება უდიდესი ღირსება და შეუძლიათ მოგვცენ უმეტესი ნუგეში, ვიდრე სხვა ქვეყნის ამაოებათა სულით და გულით მიმდევრთა თვის ამიტომ, რომ, სწავლისაებრ ქრისტესა, ქველ-მო-

ქმედებისა და ღვთის სასიამოვნო საქმეების საშვალებით ჩვენ შეგვიძლია შეეძინოთ უხრწნელი და საუკუნო საუნჯე ცათა შინა. როდესაც ჩვენ ლარიბი ვართ, ვითმენთ უპატიურებას, მწუხარებათა და შევიწროებათა,—მაშინ შეგვიძლია გავიმაგროთ და ვინუგეშოთ თავი იმ რწმენით, რომ უფალს იესო ქრისტეს ალბათ ნებაედა მოვეწოდებიეთ ჩვენ რიცხვთა შორის უმცირეს ძმათა, გავეხადეთ მას მოსაწილეთ მის ვნებათა, რათა შემდეგ ჩვენთან ერთად გაგვიზიაროს თავისი საუკუნო დიდება. ჩვენ მარადის გვიხარიან, ამბობს პავლე მოციქული თავის თავზედ და მასთან დაახლოვებული ქრისტიანეთა პირით: ჩვენ ყოველსა შინა ვიშვირვით, არამედ არა იწროება გვიჩნს; წარდათუ წირულ ვართ, არამედ არა განწირულება გვიჩნს. ეს რატომ? იმიტომ რომ დროებითი ტანჯვა ჭბადავს უზომო ნამეტნობით საუკუნო დიდებასა—არა ვხედავთ ჩვენ ხილულსა ამას, არამედ უხილავსა მას. რამეთუ ხილული ესე საწუთრო არს, ხოლო არა ხილული იგი საუკუნო. (2 კორ. IV, 8; VI. 10.)

აი როგორი მშვიდობით მოგესალმები მე თქვენ, საყვარელნო ძმანო! ეს მშვიდობა არ არის ამა ქვეყნიდამ და კაცთაგან, არამედ არის მშვიდობა, რომელიც მოგვანიჭა და მოგვანიჭებს მამა ღმერთი ქრისტეს მიერ სულისა წმიდისაგან.

და მშვიდობამან ღმრთისამან, რომელი ჰმატს ყოველთა გონებათა, შეზღუდენინ გულნი თქვენნი და გონებანნი თქვენნი იესო ქრისტეს მიერ. (ფილიპ. IV, 7) ამინ.

სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივ სარწმუნოებასა და კეთილმზნეობაზედ.

ესთერი.

(დასასრული *).

დედოფალი ესთერიც სამგლოვიარო ტანისამოსში და თავზე ნაცარ დაყრილი ევედრებოდა ღმერთს შემდეგის სიტყვებით: «უფალო, მეუფეო ჩემო, შენ ხარ მხოლო, შემეწიე მე მხოლოსა და არა მქონებელსა შეწევნისასა თვინიერ შენსა, რამეთუ შეჭირვება ჩემი ხელსა შინა ჩემსა. მე მესმა მშობელთა ჩემთაგან ტომთა შინა, მამულისა ჩემისა, რამეთუ შენ უფალმან მიიღენ ისრაელნი ყოველთაგან წარმართთა, და მამანი ყოველთაგან პირველთა მამათა მათთა სამკვიდრებელად საუკუნოდ, და უყავ მათ, რაოდენი აღუთქვი; და აწ გცოდეთ წინაშე და მიგვცენ ჩვენ ხელთა შინა მტერთა ჩვენთა, ვინაიდგან ვადიდეთ ღმერთი მათი, მართალ ხარ უფალო, და აწ არა საკმარ იქმნეს სიმწარითა მონება ჩვენი, არამედ დასდვნეს ხელნი მათნი ხელთა ზედა კერპთა მათთა: აღმოფხვრად მცნებისა პირთა შენთასა და წარწყმედათ სამკვიდრებელისა შენისა და დახშვად პირსა მაქებელთა შენთა, დაშრეტად დიდებისა ტაძრისა შენისა და საკურთხეველისა შენისა და განლებად პირთა წარმართთა სათნო ყოფად ამაოთა და განკვირვებათ მეფისა ხორციელისა უკუნისამდე. ნუ მისცემ, უფალო, სკიპტრასა შენსა ამათ, რომელი არა არიან და რათა არა გვეცინიან დაცემასა შინა ჩვენსა, არამედ მიაქციენ განზრახვა მათი მათზედა: ხოლო რომელთა იწყეს ჩვენზედა, იგავად დასდევ. მოიხსენე, უფალო, და საცნაურიყვნენ ჟამსა შინა ჭირისა ჩვენისა და მე ღირს მყავ ბედნიერებად, მეუფეო, ღმერთო და ყოვლისა დასაწყისისა მპყრობელო, მომეც სიტყვა კეთილ სათნო პირსა შინა ჩემსა წინაშე ლომთა და შესცვალე გული მისი საძულველად ბრძოლთა ჩვენთა ზედა, მოსპობად მათისა და მათთანა განმზრახთა; ხოლო ჩვენ გვიხსენ ხელითა შენითა და შემეწიე მე მხოლოსა; ღმერთო შემძლებელო ყოველთა ზედა, ისმინე ხმა უსასოთა და გვიხსენ ჩვენ ხელთაგან ბოროტის მყოფელთა და მიხსენ მე შიშისა ჩემისაგან».

---

*) იხ. «მწყემსი»-ს № 20.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამი დღის მარხულობის და ლოცვის შემდეგ, ესთერმა ჩაიცვა მშვენიერი სადედოფლო ტანისამოსი, წაიყვანა თან ორი მოსამსახურე ქალი (ერთ მათგანზე დანდობილი იყო, მეორეს კი მისი ტანისამოსი ეჭირა). ესთერი წავიდა და დადგა მეფის სასახლის ეზოში, გაბრწყინვებული და პირ-მცინარე, მაგრამ გულში კი ძალიან ეშინოდა მას. მეფე არტაქსარი ამ დროს იჯდა ტახტზე, შემოსილი ოქროთი და ძვირფასი თვლებით; დაინახა თუ არა მან ესთერი, რომელიც დაუკითხავად გამოცხადებულიყო სასახლეში და ამით დაარღვია კანონი — იგი ნამეტნავად განრისხდა და შესაშინებელი შესახედავი იყო. ესთერმა, დაინახა თუ არა მეფე, შეკრთა, გაყვითლდა და გულ-წასული დავარდა მოსამსახურე ქალების ხელებზე. მაშინ მეფეს მეტად შეეცოდა ესთერი; იგი წამოდგა ტახტიდგან, გადაეხვია თავის მეუღლეს, სცდილობდა მოეყვანა იგი გრძნობაზე და გაემხნევებინა. როდესაც დედოფალი მოვიდა გრძნობაზე, მეფემ დაუწყო მას ალერსიანად ლაპარაკი: «რა დაგემართა ესთერ, გამხნევდი! შენ არ დაისჯები, თუმცა დაარღვიე კანონი, მოდი ჩემთან; ჩვენი საბრძანებელი საერთოა». ამასთანავე მან გაუშვირა ოქროს კვერთხი დედოფალს, ეამბორა მას და უთხრა: მითხარი თამამად რა გსურს? ესთერმა მიუგო: საკვირველი ხარ შენ, უფალო ჩემო, შენ ემსგავსები ციურ ანგელოზებს და ჩემი გული შეკრთა შიშისაგან შენი პირისახის დანახვის დროს... სთქვ, თუ არა ეს სიტყვები ესთერმა, მას ხელ-ახლა წაუვიდა გული და დაეცა. მეფე და მისი მოსამსახურენი ძალიან სცდილობდენ ესთერის მობრუნებას. როდესაც დედოფალი მოვიდა გონზე, მეფემ ჰკითხა მას: რა გსურს, დედოფალო; მთხოვე რაც გწადია და მე ავასრულებ შენს თხოვნას, რანაირი თხოვნაც უნდა იყოს, ნახევარი ჩემი სამეფოც რომ მთხოვო. ესთერი ამ სიტყვებით გამხნევდა და მიუგო მეფეს: დღეს მე ვიხდი დღესასწაულს და მსურს გთხოვო შენ, რომ მოხვიდე ჩემ ლხინზე და თან ამანიც წამოიყვანოთ. მეფე დათანხმდა და მაშინათვე გააგზავნა კაცი ამანის მოსაყვანად. მეფე და ამანი წავიდნენ კიდეც დედოფალთან. შუა ჭამაში რომ შევიდენ, მეფემ უთხრა ესთერს: როგორიც უნდა იყოს შენი სურვილი, იგი უსათუოდ აღსრულებული იქმნება; რაც გინდა მთხოვე, მე შენ თხოვნას ავასრულებ. ესთერმა ამაზედ მიუგო: უკეთუ მე დავიმსახურე შენი ყურადღება, მეფეო, და თუ შენ გსურს ჩემი თხოვნის აღსრულება, მობრძანდით ჩემთან ხვალეც და ამანიც თან წამოიყვანეთ. ლხინის დროს მე გამოგიცხადებ, მეფეო, ჩემ სურვილს და თხოვნას. მეფე შეპირდა მეორე დღესაც მისვლას.

ლხინის გათავების შემდეგ ამანი წავიდა სახლისაკენ მხიარული. აქვე გზაზე მან დაინახა მარდოქე, მჯდომარე სასახლის ჭიშკართან. ამანმა წინ გაუარა მას, მაგრამ მარდოქე ადგილიდგანაც არ დაძრულა. ამაზედ ამანი ფრიად განრისხდა, მაგრამ ხმაც არ გაუცია მისთვის, ისე წავიდა სახლისაკენ. ამანი მივიდა სახლში, შეკრიბა თავისი ამხანაგები, დაუძახა თავის ცოლს ზოსარას და დაუწყო მათ ბაასი თავის სიმდიდრეზე და დიდებაზე, რომ ხელმწიფემ აღამაღლა იგი ყველა თავადებზე; რომ დედოფალიც სწყალობს იმას და ხვალისათვის მიიწვია მარტო იგი ხემწიფესთან ერთად, როგორც დღესაც იყო მიპატიჟებული, — მაგრამ მე არ შემიძლია დავრჩე ყმაყოფილი, დაუმატა ამასთანავე ამანმა, სანამ ვხედავ მარდოქეს სასახლის ჭიშკართან. ამანის მეგობრებმა და ცოლმა ზოსარამ ამაზედ ურჩიეს მას: უბრძანე, რომ დღესვე ეზოში გააკეთონ სახრჩობელა სიმაღლით ორმოც-დაათი წყრთა; ხვალ დილას კი სთხოვე მეფეს, რომ ამ სახრჩობელაზე ჩამოახრჩონ მარდოქე და შემდეგ წადი იქ, სადაც დაპატიჟებული ხარ სალხინოდ. ეს რჩევა მოეწონა ამანს და მაშინათვე უბრძანა მოსამსახურეებს, გაეკეთებიათ ეზოში სახრჩობელა.

იმ ღამეს მეფეს, რაღაცა ღვთის განგებით მთელი ღამე არ დასძინებია. მან უბრძანა თავის მოსამსახურეს ხმამაღლად ეკითხა მისი მატიანე, დღიური. მოსამსახურემ დაიწყო კითხვა და, სხვათა შორის, ამოიკითხა დღიურში ისიც, თუ როგორ გაამჯღავნა მარდოქემ განზრახვა ორი მცველისა, რომელთაც სურდათ მეფის მოკვლა, და ამით დაიხსნა მეფე სიკვდილისაგან. ამ დროს მეფემ ჰკითხა მოსამსახურეს: რით არის დაჯილდოვებული მარდოქე ამ საქმისათვის? მოსამსახურემ უპასუხა: არაფრითო. დილით ადრე მეფის ეზოში შემოვიდა ამანი, რომელსაც განზრახვა ჰქონდა ეთხოვა მეფისათვის მარდოქეს ჩამოხრჩობა მის ეზოში მომზადებულ სახრჩობელაზე. მეფეს მოახსენეს ამანის მოსვლა. როდესაც მეფის ნებადართვით ამანი შევიდა სასახლეში, მეფემ ჰკითხა მას: ამანო, მირჩიე მე, როგორ უნდა დავჯილდოო კაცი, რომლის ამაღლება მსურს მე. ამანმა იფიქრა, რომ ალბად მეფეს ჩემთვის უნდა ამ ჯილდოს მონიჭება და უპასუხა მეფეს: ის კაცი, რომლის და-

ჯილდოებაც ჰსურს მეფეს, შემოსონ კაი სამეფო ტანისამოსით, შესვან იმ ცხენზე, რომელზედაც ჯდება მეფე, დაადგან თავზე გვირგვინი, მისი ცხენის ალვირი მისცენ წარჩინებულს მეფის მეგობარს ქალაქის მოედანზე გამოსაყვანად და გამოაცხადონ მთელი ხალხის წინაშე, რომ «ესრეთ ეყოს ყოველსა კაცსა რომლის დაჯილდოვება. ნებავს მეფეს!»

ამ პასუხის მოსმენის შემდეგ მეფემ უთხრა ამანს: «მე შენი აზრი მომწონს; აი ახლავე წაიღე ჩემი სამეფო ტანისამოსი, ჩააცვი იგი მარდოქეს, რომელიც ზის ჭიშკართან, შესვი იგი ჩემ ცხენზე და მოიქეცი ისე, როგორც შენ მირჩიე, მაგრამ იცოდე არასფერი არ დააკლო». მუმცა ამ სიტყვებმა თავზარი დასცეს ამპარტავან ამანს და ძალიან სამძიმოდ ურჩებოდა მას მეფის ამ გვარი ბრძანების აღსრულება, მაგრამ რა უნდა ექნა; იგი ვერ გაბედავდა მეფის წინააღმდეგობას. ამანმა ჩააცვა მარდოქეს სამეფო ტანისამოსი, შესვა იგი მეფის ცხენზე, მოკიდა ცხენის ალვირში ხელი, გაიყვანა ქალაქის მოედანზე და იქ ხალხის წინ გამოაცხადა: „ესრეთ ეყოს ყოველსა კაცსა, რომლის დაჯილდოვება ნებავს მეფეს". ამის შემდეგ მარდოქე დაბრუნდა თავის ადგილზე, ამანი კი შერცხვენილი და შეწუხებული გაუჩქარა სახლისაკენ. იგი მოუყვა შინაურებს, რაც მას თავს გარდახდა. ამაზედ ცოლმა და მეგობრებმა უპასუხეს ამანს: «თუ მარდოქე ებრაელია, იმ შემთხვევაში შენ ვერ აჯობებ მას, არამედ თვითონ დაიღუპები, მიტომ რომ ღმერთი ეწევა ებრაელებს»... ამ ბაასის დროს, მოვიდნენ მეფის მოსამსახურენი და გამოუცხადეს ამანს, რომ იგი საჩქაროდ წასულიყო დედოფლისლხინზე.

მეფე და ამანი მივიდნენ მეორეთაც სალხინოდ დედოფალთან. ამ ლხინზე მეფემ ხელმეორედ ჰკითხა ესთერს: რა გსურს, დედოფალო, მთხოვე და მე შენ თხოვნას ავასრულებ. მაშინ ესთერმა მიუგო მეფეს: «მაპატივე მე სიცოცხლე — ეს არის ჩემი სურვილი; და აგრეთვე მიანიჭე სიცოცხლე ჩემ ხალხს, რომელსაც გადაწყვეტილი აქვს გაჟლეტა — ეს არის ჩემი თხოვნა. მონათ რომ გავეყიდე ვისმეს, მე არას ვიტყოდი, თუმცა ჩვენს მტერს არაფრით არ შეეძლო ეზღო მეფისთვის ამისგან წარმოდგენილი ზარალი».

ვინ გაბედა ამ საქმის ჩადენა? მრისხანედ იკითხა მეფემ.

— «ეს მოახთინა ჩვენმა მტერმა — ამ ბოროტმა ამანმა!» მიუგო დედოფალმა. ეს რომ გაიგონა ამანმა, მას შიშის თავზარი დაეცა. — მხოლოდ ახლა მიხვდა იგი, რომ ესთერი იყო ებრაელი. ამაზედ მეფე

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად განრისხდა, ადგა სუფრიდგან და გამოვიდა ბაღში. ამითი ისარგებლა ამანმა; იგი დავარდა დედოფლის წინაშე და სთხოვდა მას მიტევებას, რადგანაც იგი გრძნობდა, რომ მას მოელოდა სასტიკი სასჯელი. ამ დროს მეფეც დაბრუნდა ბაღიდგან და შემოსვლის დროს დაინახა ამანი მუხლმოდრეკილი დედოფლის წინაშე. ამაზედ უფრო განრისხდა მეფე და იქვე აღუთქვა ამანს სიკვდილით დასჯა. მოსამსახურეებმა იმ დროის ჩვეულებისაებრ, მაშინვე აღვუხვიეს პირი ბრალდებულს და წაიყვანეს სასახლიდგან. აქვე ერთმა მოსამსახურეთაგანმა მოახსენა მეფეს, რომ ამანის ეზოში იყო მომზადებული სახრჩობელა. მეფემ უბრძანა მათ, რომ იმ სახრჩობელაზე ჩამოეხრჩოთ ამანი. მეფის ბრძანება აღსრულებაში იქმნა მოყვანილი და ამანი ჩამოაღრჩვეს იმ სალრჩობელაზე, რომელიც თვითონ მან მოამზადებინა მარდოქესათვის.

ამანის სახლი და მთელი ქონება მეფემ მიანიჭა ესთერს. როდესაც მეფემ გაიგო, რომ მარდოქე იყო ესთერის ბიძაშვილი, მან მიიხმო იგი, მისცა მას თავის ბეჭედი, რომელიც უწინ ჰქონდა ამანს და მიანიჭა მას ამანის ადგილი. ესთერმა ისარგებლა ამ შემთხვევით; იგი დავარდა მეფის წინ და ტირილით სთხოვდა მას ამანის სასტიკი ბრძანების გაუქმებას. მეფემ გაუშვირა დედოფალს თავის ოქროს კეერხი. ესთერი წამოდგა და მოახსენა მეფეს: უკეთუ გსურს ჩემი სიამოვნება, გაგზავნე მიწერილობანი ამანის ბრძანების გასაუქმებლად, რადგანაც მე არ შემიძლია ჩემი მონათესავების და ჩემი ხალხის გაჟლეტას გულგრილად უყურო. მეფემ ამაზედ უთხრა ესთერს და მარდოქეს: თუ უქაზი დაწერილია ჩემი სახელით და დაბეჭდილია ჩემი ბეჭდით; მაშინ ამის გაუქმება არ შეიძლება; მაგრამ მე გაძლევთ თქვენ ნებას დასწეროთ ხელახალი წერილები, როგორც გსურდესთ, დაბეჭდეთ ჩემი ბეჭდით და გაგზავნეთ ყველგან. მაშინვე მისწერა მარდოქემ ყველა თავადებს და მაზრის უფროსებს ახალი უქაზი, რომელშიდაც მეფის სახელით ნაბრძანები იყო შემდეგი: «ებრაელნი რომელთაც გადაწყვეტილი ჰქონდათ გაჟლეტა ამანის მიერ, ჩვენ ვსცანით ღვთის მოშიშ ხალხად, რომელიც კარგად ასრულებს ღვთის კანონებს და მტკიცედ ინახავს სარწმუნოებას; ამისათვის თქვენ კარგს იზამთ, თუ არ მოიყვანთ სისრულეში ამანის გამოგზავნილ ბრძანებას, რადგანაც ის ბრძანება თვითონ ამანმა დასწერა, რაისათვისაც ამანი ჩამოახჩვეს ქალაქ სუსში. ამ უქაზში აგრეთვე მოხსენებული იყო, რომ ებრაელებს ნება ეძლევათ შეიკრიბონ ერთად და იბრძოლონ მათ, ვინც კი დაუწყებს მათ ჩხუბს. ეს მიწერილობა მარდოქემ დაბეჭდა მეფის ბეჭდით და გააგზავნა საჩქაროდ არტაქსარის სამეფოს ყველა კუთხეებში. გამოაცხადებდენ თუ არა ამ მიწერილობას რომელიმე ქალაქში, ადგილობითნი მცხოვრებნი ებრაელნი ხარობდნენ, ლხინობდნენ და მხიარულებდენ.

მოაწია თუ არა ადარის თვის მეცამეტე დღემ, როდესაც დანიშნული იყო ამანის მიერ ებრაელების გაჟლეტა მტრებს უნდოდათ კიდევაც აესრულებიათ ეს უქაზი, მაგრამ ებრაელნი შეიკრიბნენ ერთად, ადრევე მოემზადენ, დაუწყეს ბრძოლა თავის მტრებს და კიდევაც აჯობეს მათ და მათ ქონებას კი ხელი არ ახლეს.

როდესაც ყველაფერი დაწყნარდა, მარდოქემ მისწერა ახლობელ და შორებელ ებრაელებს წერილები, რომელშიდაც აგულიანებდა მათ, რომ ყოველ წლობით ეუქმებიათ ადარის 14-ტე და 15-ტე დღეები, ამ დღეებში ყველას ელხინა, გაეგზავნათ ერთმანეთისათვის მოსაკითხები და რაც შეიძლებოდა უხვათ დაერიგებიათ ფულები საწყლებისათვის მოსახსენებლად მისა, რომ ამ დღეებში ისინი განთავისუფლდნენ მტრებისაგან. აგრეთვე ესთერმაც გაუგზავნა ებრაელების 127 მაზრაში მცხოვრებ ქალებს, რომ მათაც წმიდათ შეენახათ მარდოქეს მიერ დადგენილნი უქმები. იმ დროიდგან ყველა ებრაელებმა თავსიდვა ყოველ წლობით ამ დღეების უქმობა, რომ მათი ხსენება არ გამქრალიყო მათ შთამამავლობაში. ამ უქმეს ებრაელებმა დაარქვეს ფურიმი, («ფურ»—ნიშნავს ებრაულად «წილს»), რადგანაც ამანმა, როდესაც ებრაელების გაჟლეტა განიზრახა, ყარა წილი, თუ რომელ დღეს უმჯობესი იქნებოდა ამ ხალხის გაჟლეტა, და წილი ხვდა ადარის თვეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიიღება ხელის-მოწერა 1890 წლისათვის ოჩა-კვირეულ გამოცემათა ქართულს

„მწყემსზედ“

⁂

რუსულ «ПАСТЫРЬ»-ზედ

მიზანი და დანიშნულება გაზეთისა: 1) შეატყობინოს სამღვდელო და საერო წოდებას ყველა განკარგულება და მოქმედება უმაღლესთა სასულიერო და სახორციელო მართებლობათა, კონსისტორიათა და მღვდელ-მთავართა; 2) გაავრცელოს ქართველ სასულიერო წოდებაში და ხალხში სალიტერატურო სწავლა და ცოდნა საეკლესიო და საზოგადოებრივი ცხოვრების კითხვათა შესახებ; 3) გაავრცელოს საქართველოს სამღვდელო და საერო წოდებაში სწავლა და მეცნიერება ქრისტიანობრივი კეთილ ზნეობისა და სარწმუნოებისა და 4) უხსნას და განუმარტოს სამღვდელო და საეკლესიაო მოსამსახურე პირთა ზოგიერთი საეჭვო კითხვები, რომელთა ცოდნა მიუცილებელ საჭიროებას შეადგენს მათთვის მტკიცედ მათი მოვალეობის აღრულებისათვის.

მიზანი და დანიშნულება რუსული გამოცემისა, ზემოხსენებულის პროგრამის აღსრულების გარდა, არის — 1) შეატყობინოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას შინაარსი შესანიშნავ და საინტერესო «მწყემს»-ში დაბეჭდილთ სტატიებისა; 2) გააცნოს რუსეთის სასულიერო და საერო წოდებას საოთველო, ეს დაშორებული კუთხე რუსეთის იმპერიისა და საქართველოს სასულიერო და საერო წოდება ქართული გამოცემის საშუალებით გააცნოს რუსეთის სასულიერო მწერლობას და ხალხის ცხოვრებას.

ფასი გაზეთისა:

12 თვით «მწყემსი» 5 მ.	6 თვით «მწყემსი» 3 მ.
— „ ორივე გამოცემა 6 »	— „ ორივე გამოცემა 4 »
— „ რუსული „ 3 მ.	— „ რუსული „ 2 მ.

რედაქცია იმყოფება ქ. თბილისში ოქროშჭედლების ქუჩაზე № 20, რედაქტორის საკუთარ სახლებში.

რედაქციას აქვს კანტორები: ქ. ქუთაისში ხანანაშვილების სახლებში და დ. ყვირილაში რედაქტორის საკუთარს სახლებში.

გაზეთზე ხელის-მოწერა შეიძლება როგორც რედაქციაში, ისე კანტორებში.

გარეშე მცხოვრებთა გაზეთის დაბარება შეუძლიათ ამ ადრესით; Въ Квирилы, въ контору редакціи „МЦКЕМСИ“ и «ПАСТЫРЬ».

ყველა სტატიები და კორრესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელმოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაებრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

შინაარსი: რედაქციისაგან. — სასიამოვნო ამბები ჩვენი იბილისის სემინარიის ცხოვრებიდან. — ახალი ეპისკოპოსი ვლადიკავკაზისა ეოვლად სამღვდელო პეტრე. — პირველი სიტყვა, თქმული ეოვლად სამღვდელო პეტრეს მიერ ახალის სამწყოსოსადმი ვლადიკავკაზის საეპისკოპოსო კათედრაზედ აღსვლის დროს. — ახალი ამბები და შენიშვნები. — ესთერი. — განცხადება.

რედაქტორი და გამომცემელი ფეკ. დ. დამბაშიძე.

Доз. цензурою, 14 ноября 1889 г.

Собственная типографія редакціи.